ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1825622

ნომერი: AR1299555

თარიღი : 04.04.2015

გაცემის თარიღი : 06.04.2015

გაცნობის თარიღი : 06.04.2015

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ევდოშვილი , N 20 / ქალაქი თბილისი , ევდოშვილისა და სოხუმის ქუჩებს შორის (ნაკვეთი 10/021)/ ქალაქი თბილისი , სოხუმის ქ. N7-ის მიმდ. ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- მალხაზ კაპანაძე პ/ნ 01024001843
- თბილისი ად.მიცკევიჩის ქ. N 24 ბ. 6

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2015 წლის 4 აპრილის #AR1299555 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ითხოვთ სპეციალური ზონალური შეთანხმების გაცემის თაობაზე ქალაქ თბილისის მერის 2013 წლის 5 ნოემბრის #2463 განკარგულებაში

ცვლილების შეტანას.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენი განაცხადი არასწორად იქნა დარეგისტრირებული ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში ცვლილების შეტანის ველში. „ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების 25–ე მუხლის მე–3 პუნქტის თანახმად, ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებაზე გადაწყვეტილებას იღებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერი, დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს დასკვნის საფუძველზე. მერის განკარგულებაში ცვლილების შეტანა საჭიროებს იმავე პროცედურის გავლას რაც მისი მიღებისთვისაა დადგენილი. შესაბამისად იმისთვის, რომ უფლებამოსილმა ორგანოებმა იმსჯელონ ქალაქ თბილისის მერის 2013 წლის 5 ნოემბრის #2463 განკარგულებაში ცვლილების შეტანის საკითხზე, თქვენს მიერ განაცხადი წარმოდგენილი უნდა იქნას შემდეგნაირად: სამსახურის ვებ–გვერდზე (www.tas.ge) ელექტრონული განცხადებების ველში, „მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები''–ს არჩევის შემდეგ უნდა მონიშნოთ – „ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდა“, რის შედეგადაც პროგრამა ავტომატურ რეჟიმში განგისაზღვრავთ წარმოსადგენ დოკუმენტაციას. განცხადების მოთხოვნის ტექსტში ქალაქ თბილისის მერის 2013 წლის 5 ნოემბრის #2463 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე მოთხოვნის დაფიქსირებისა და სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ, უფლებამოსილი ორგანოები/პირები იმსჯელებენ განაცხადში მითითებულ საკითხზე და მიღებულ გადაწყვეტილება გეცნობებათ ელექტრონულად.